საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №123
2015 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ფ.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) თანდართული დებულება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 23 თებერვლიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის
დებულება
თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) სტატუსი და ანგარიშვალდებულება

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) გენერალური ინსპექცია (შემდგომში – გენერალური ინსპექცია) არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანების, ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელებას.
2. გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) წინაშე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას.

3. გენერალური ინსპექცია თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს.

4. გენერალური ინსპექცია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, რომელშიც დაუშვებელია სამინისტროს სისტემის სხვა თანამდებობის პირების ჩარევა.

თავი II
გენერალური ინსპექციის ამოცანები და კომპეტენცია

მუხლი 2. გენერალური ინსპექციის ამოცანები

გენერალური ინსპექციის ამოცანებია:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში (შემდგომში –

სამინისტროს სისტემა) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;

ბ) სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;

გ) საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება;

დ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა (შემდგომში – სამინისტროს მოსამსახურე) მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობაში არსებული დარღვევების და ნაკლოვანებების გამოვლენის, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

ე) სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებისთვის კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სისტემის კომპეტენციაში შემავალი ამოცანების შესრულების კონტროლი;

ზ) ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის გატარების მიზნით სამინისტროს იმ ქვედანაყოფებთან თანამშრომლობა, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს; გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;

თ) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების და/ან სხვა სამსახურებრივი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო გამჟღავნების შესაძლო არხების გამოვლენა.

მუხლი 3. გენერალური ინსპექციის კომპეტენცია

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა:

ა) გენერალური ინსპექციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით, შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე აღნიშნული ამოცანების შესრულებისთვის სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი ქვედანაყოფების შესაძლებლობების გამოყენება;

ბ) სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობის (მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი) შემოწმება არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით;

ბ[1]) სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, სამინისტროს მოსამსახურეების მიერ ჩადენილი შესაძლო დარღვევების შესწავლის მიზნით, გამოითხოვოს შესაბამისი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მასალები;

ბ[2]) ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება;“.

გ) სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვის, მათ შორის, ოპერატიული ხარჯების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება;

დ) სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, პროკურატურასა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობა;

ე) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით განხორციელებული შემოწმების პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების მინისტრისათვის წარდგენა; სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შესაბამისი დასკვნის ან ცნობის მომზადება;

ვ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სამინისტროს მოსამსახურის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მოპოვებული მასალების პროკურატურისთვის დადგენილი წესით გადაგზავნა;

ზ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე;

თ) საქართველოს კანონმდებლობის და/ან მინისტრის დავალების შესაბამისად სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 19.02.2019წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 29 ივნისის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 30.06.2020წ.

თავი III
გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობა და სტრუქტურული დანაყოფები
მუხლი 4. გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობა

1. გენერალურ ინსპექციას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
2. გენერალური ინსპექციის უფროსი:

ა) ხელმძღვნელობს და წარმართავს გენერალური ინსპექციის საქმიანობას, აწესრიგებს დანაყოფის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისთვის იმ სფეროში, რომელიც განეკუთვნება დანაყოფის კომპეტენციას;

გ) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს გენერალური ინსპექციის სტრუქტურის, საშტატო განრიგისა და საქმიანობის ორგანიზების შესახებ;

დ) უზრუნველყოფს გენერალური ინსპექციის დანაყოფებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების კონტროლს;

ე) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ზ) ამტკიცებს გენერალურ ინსპექციაში მომზადებულ დასკვნებს, ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს დანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

თ) სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა გენერალური ინსპექციის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად;

ი) მინისტრის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებას

ცალკეულ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან;

კ) ყოველწლიურად ან მოთხოვნისამებრ, მინისტრს წარუდგენს ანგარიშს გენერალური ინსპექციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ლ) უზრუნველყოფს გენერალური ინსპექციის პირადი შემადგენლობის სამობილიზაციო მზადყოფნას;

მ) ანაწილებს ამოცანებსა და ფუნქციურ მოვალეობებს გენერალური ინსპექციის ქვედანაყოფებსა და ცალკეულ მოსამსახურეებს შორის.

3. გენერალური ინსპექციის უფროსს ჰყავს მოადგილე ან მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. გენერალური ინსპექციის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, მინისტრის დავალებით, ასრულებს გენერალური ინსპექციის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 25 მაისის ბრძანება №62 - ვებგვერდი, 28.05.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №69 - ვებგვერდი, 13.08.2019წ.

მუხლი 5. გენერალური ინსპექციის სტრუქტურული დანაყოფები
გენერალური ინსპექციის სტრუქტურული დანაყოფებია:
ა) ადმინისტრაცია (სამმართველო);

ა[1]) საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო;

ბ) ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო;

ბ[1]) დასავლეთის რეგიონული სამმართველო;

გ) დისციპლინური დევნის I სამმართველო;

გ[1]) დისციპლინური დევნის II სამმართველო;

დ) ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების სამმართველო;

ე) (ამოღებულია - 12.06.2020, №84).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 04.05.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 12 ივნისის ბრძანება №84 - ვებგვერდი, 15.06.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 22 თებერვლის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 18.09.2023წ.

თავი IV
გენერალური ინსპექციის სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენცია და ფუნქციები

მუხლი 6. ადმინისტრაცია (სამმართველო)
1. ადმინისტრაციის შემადგენლობაშია:
ა) (ამოღებულია - 18.09.2023, №72);

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (ცხელი ხაზი „126“);

გ) საქმისწარმოების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური;

დ) ოპერატიულ-სამორიგეო სამსახური.

2. ადმინისტრაცია:

ა) ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის გატარების მიზნით თანამშრომლობს სამინისტროს იმ

ქვედანაყოფებთან, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციას;

ბ) უზრუნველყოფს საგანგებო დანიშნულების ერთიანი ნომრის ფუნქციონირებას, აღნიშნულ სატელეფონო ნომერზე შემოსული ინფორმაციის (შეტყობინების) დამუშავებას, ქვემდებარეობის განსაზღვრას და ადრესატისთვის დროულ მიწოდებას; კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კონსულტაციის გაწევას და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდებას; შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

გ) უზრუნველყოფს გენერალურ ინსპექციაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას, დამუშავებას და დანიშნულებისამებრ გადაგზავნას, საიდუმლო საქმისწარმოებას;

დ) ორგანიზებას უწევს გადაცემული მატერიალური ფასეულობების მიღებას, აღრიცხვას და შენახვას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა მოთხოვნით მატერიალური ფასეულობების მიწოდებას, შესაბამისი მოთხოვნა-მიწოდების დოკუმენტაციის წარმოებას;

ე) გენერალური ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 04.05.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 22 თებერვლის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 18.09.2023წ.

მუხლი 6[1]

საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო:

ა) უზრუნველყოფს გენერალური ინსპექციის დანაყოფების მიერ წარმოებული მუშაობის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს;

ბ) გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით აწარმოებს ანალიტიკურ მუშაობას;

გ) გენერალური ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №72 - ვებგვერდი, 18.09.2023წ.

მუხლი 7. ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო

1. ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) ოპერატიული უზრუნველყოფის I სამმართველო;

ბ) ოპერატიული უზრუნველყოფის II სამმართველო;

გ) (ამოღებულია - 22.02.2022, №22);

$გ^1$) (ამოღებულია - 22.02.2022, №22);

დ) საგამოძიებო სამმართველო.

2. ოპერატიული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო:

ა) გენერალური ინსპექციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვით ღონისძიებებს, ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;

ბ) მოიპოვებს ინფორმაციას სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან ჩადენილი იმ ქმედებებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას სამინისტროს საქმიანობას;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სისტემის ადმინისტრირების მონიტორინგის უზრუნველყოფისა და სამსახურებრივი შემოწმების სრულფასოვანი წარმოებისთვის, სამინისტროს

დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფებიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან გამოითხოვს აუცილებელ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას; საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამინისტროს ნებისმიერი მოსამსახურის გამოძახებას ან/და ადგილზე წერილობითი ან ზეპირი განმარტების მიღებას;

დ) აუცილებლობიდან გამომდინარე, მინისტრის ბრძანებებით დადგენილი წესით ატარებს სამინისტროს მოსამსახურეთა დამატებით სპეციალურ შემოწმებას;

ე) დადგენილი წესით გამოითხოვს სამინისტროს მოსამსახურეთა პირად საქმეებს, სამინისტროს სისტემაში წარმოებულ მასალებს, მათ შორის, ოპერატიული აღრიცხვის საქმეებსა და გამოძიების მასალებს;

ე[1]) ორგანიზებას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალ განსაკუთრებულ დავალებათა, ობიექტების დაცვის, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტებსა და სხვა სპეციალურ ქვედანაყოფების საქმიანობის შემოწმებას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, გამოძიებისა და სამსახურებრივი შემოწმების შედეგების მიხედვით, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს კონკრეტული მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების ან/და სხვა სამსახურებრივი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო გამჟღავნების შესაძლო არხების გამოვლენისთვის შეისწავლის აღნიშნული მიმართულებით სამინისტროს სისტემაში შემავალ დანაყოფებში არსებულ ვითარებას, შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვის და ორგანიზების მიზნით ამზადებს რეკომენდაციებს. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, გენერალური ინსპექციის სხვა ქვედანაყოფებთან კოორდინირებულად ახორციელებს შესაბამის ოპერატიულ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, წარმართავს მუშაობას სამინისტროს მოსამსახურეთა შესაძლო მართლსაწინააღმდეგო კავშირების გამოვლენის მიზნით; მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლის მონაცემებს სამინისტროს მოსამსახურეთა ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ; უზრუნველყოფს სამინისტროს მოსამსახურეთა მხრიდან შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ხელშემწყობი გარემოებების შესწავლას და მათი აღკვეთის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

ი) სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის მიზნით ახორციელებს შესაბამის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;

ი[1]) კომპეტენციის ფარგლებში ახდენს შესაბამის რეაგირებას სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა და ეთიკის ნორმების დარღვევებზე;

კ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტებზე შემოსულ საჩივრებსა და განცხადებებს;

ლ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით ატარებს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოსაძიებლად გადმოცემულ საქმეებზე;

მ) გენერალური ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 04.05.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 12 ივნისის ბრძანება №84 - ვებგვერდი, 15.06.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 22 თებერვლის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 7[1]. დასავლეთის რეგიონული სამმართველო

დასავლეთის რეგიონული სამმართველო ახორციელებს ამ დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს, გარდა ამავე პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფუნქციისა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 22 თებერვლის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 8. დისციპლინური დევნის I და II სამმართველო

დისციპლინური დევნის I და II სამმართველო:

ა) განიხილავს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტებზე შემოსულ საჩივრებსა და განცხადებებს, აღნიშნულთან დაკავშირებით ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;

ბ) ახდენს შესაბამის რეაგირებას სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა და ეთიკის ნორმების დარღვევებზე;

გ) ორგანიზებას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალ დანაყოფებში, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას, მათი საქმიანობის შემოწმებას, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამინისტროს სისტემაში შესაძლო დარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების პრევენციას;

დ) დადგენილი წესით გამოითხოვს სამინისტროს მოსამსახურეთა პირად საქმეებს, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფების მიერ წარმოებულ ნებისმიერი კატეგორიის მასალებს, გამოძიების მასალებს. საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამინისტროს ნებისმიერი მოსამსახურის გამოძახებას ან/და ადგილზე წერილობითი ან ზეპირი განმარტების მიღებას, ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, გატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს კონკრეტული მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე;

ვ) ახორციელებს სამინისტროს სისტემაში საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლს;

ზ) გენერალური ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 მარტის ბრძანება №135 - ვებგვერდი, 31.03.2016წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 04.05.2018წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 22 თებერვლის ბრძანება №22 - ვებგვერდი, 22.02.2022წ.

მუხლი 8[1]. ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების სამმართველო

ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების სამმართველო:

ა) აწარმოებს მუშაობას სამინისტროს სისტემაში ფინანსური სამართალდარღვევების გამოვლენის მიზნით, ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში გამოავლენს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა დანაკლისისა და ზედმეტობის არსებობის ფაქტებს;

გ) ამოწმებს სამინისტროს სისტემაში მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას;

დ) მინისტრის ბრძანებებით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფების მიერ წარმოებული ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის, აგრეთვე აღნიშნული დანაყოფების მიერ გაწეული ოპერატიული ხარჯების ინსპექტირებას;

ე) მონაწილეობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებიც

არეგულირებს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელების, აგრეთვე აღნიშნული საქმიანობის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის წესს;

ვ) დადგენილი წესით გამოითხოვს სამინისტროს მოსამსახურეთა პირად საქმეებს, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფების მიერ წარმოებულ ნებისმიერი კატეგორიის მასალებს, მათ შორის, ოპერატიული აღრიცხვის საქმეებსა და გამოძიების მასალებს. საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამინისტროს ნებისმიერი მოსამსახურის გამოძახებას ან/და ადგილზე წერილობითი ან ზეპირი განმარტების მიღებას, ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, გატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს კონკრეტული მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე;

თ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტებზე შემოსულ საჩივრებსა და განცხადებებს, აღნიშნულთან დაკავშირებით ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას;

ი) გენერალური ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 04.05.2018წ.

მუხლი 8[2]. (ამოღებულია)
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 4 მაისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 04.05.2018წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 12 ივნისის ბრძანება №84 - ვებგვერდი, 15.06.2020წ.

თავი V
გენერალური ინსპექციის საქმიანობის მეთოდები

მუხლი 9. გენერალურ ინსპექციაში სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საფუძვლები და წესი

1. სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საფუძველია სამინისტროს მოსამსახურის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის და დისციპლინური გადაცდომის შესახებ მიღებული ინფორმაცია (მათ შორის, ოპერატიული ინფორმაცია) მოქალაქეთა და სამინისტროს მოსამსახურეთა წერილობითი ან ზეპირი განცხადებების, საჩივრების და პატაკების სახით, სასამართლოს (მოსამართლე) კერძო განჩინებები (დადგენილებები), სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ადმინისტრაციული ორგანოებიდან, ასევე იურიდიული თუ ფიზიკური პირებისგან მიღებული შეტყობინებები და მასალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობები.
2. სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში გენერალური ინსპექციის მოსამსახურეებს უფლება აქვთ, შეუზღუდავად, შეუფერხებლად შევიდნენ სამინისტროს ადმინისტრაციულ და სამსახურებრივ შენობა-ნაგებობებში, ობიექტებსა და ქვედანაყოფებში.

4. გენერალური ინსპექციის მოსამსახურე არ მონაწილეობს სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, თუ არსებობს გარემოება, რომელიც იძლევა ვარაუდის საფუძველს სამინისტროს კონკრეტული მოსამსახურის შემოწმების შედეგებისადმი დაინტერესების თაობაზე (ინტერესთა კონფლიქტი). სამსახურებრივი შემოწმების პროცესიდან გენერალური ინსპექციის კონკრეტული მოსამსახურის ჩამოცილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ინსპექციის უფროსი.

5. სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე მზადდება შესაბამისი ცნობა ან დასკვნა, რომელსაც ამტკიცებს გენერალური ინსპექციის უფროსი.